



აგრარული და სამშენებლო ბიზნესების სადაზღვევო კომპანიებთან ურთიერთობის ძირითადი ასპექტები

DOI:10.36962/ECS107/3-5/2025-97

თემურ თოიძე

სტუ. ბიზნესის ადმინისტრირების
სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი
E-mail: Temo.toidze@yahoo.com

ნატალია ჭანტურია

სტუ ასოცირებული პროფესორი
E-mail: Tchanturianatalia11@gtu.ge

რეზიუმე

განხილულია სადაზღვევო მომსახურებათა მნიშვნელობა აგრარული და სამშენებლო სექტორების საქმიანობაში, გამოკვეთილია ის გამოწვევები, რომლის წინაშეც დგანან აღნიშნული ბიზნესების წარმომადგენლები.

გაანალიზებულია ის პოტენციური შესაძლებლობები და რეკომენდაციები, რომლებიც ხელს შეუწყობს როგორც სადაზღვევო სექტორის ეფექტურ განვითარებას, ისე მოცემული ბიზნეს-სექტორების მდგრად ზრდას.

სტატიის ერთ-ერთი მიზანს წარმოადგენს აგრარული და სამშენებლო ბიზნესების სადაზღვევო კომპანიებთან ურთიერთობების ანალიზი, რათა უკეთ იქნას გაგებული, თუ როგორ შეიძლება სადაზღვევო მომსახურების გამოყენება აღნიშნულ სექტორებში რისკების მართვისა და სტაბილურობის უზრუნველსაყოფად.

გაანალიზებულია სხვადასხვა სტატისტიკური მასალა, ასევე წარმოდგენილია ამა თუ იმ მეცნიერთა ნაშრომები, პუბლიკაციები და შეხედულებები დაზღვევის მნიშვნელობის შესახებ უშუალოდ აგრარული და სამშენებლო ბიზნესის სტაბილური განვითარების მიმართულებით.

საკვანძო სიტყვები: დაზღვევა; აგრარული ინდუსტრია; სამშენებლო ბიზნესი; ბიზნესის განვითარება; რისკის მართვა;

შესავალი

სახელმწიფოს მდგრად განვითარებაზე ბევრი შიდა და გარე ფაქტორი ახდენს გავლენას. ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა და მოსახლეობის კეთილდღეობა დიდად განაპირობებს მის წარმატებულ სვლას.

სადაზღვევო ინდუსტრია წარმოადგენს ეკონომიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და რთულ სექტორს, რომლის საქმიანობა გავლენას ახდენს თითქმის ყველა სფეროზე, მათ შორის აგრარულ და სამშენებლო ბიზნესებზე. როგორც აგრარულ, ისე სამშენებლო სექტორებში რისკების მართვა და შემცირება წარმოადგენს უპირველეს მოთხოვნას, რომლის გარეშე ამ ინდუსტრიების განვითარების და წარმატების მიღწევა რთული იქნებოდა.

სამშენებლო და აგრარული ინდუსტრია მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლის ზრდაზე. შესაბამისად აღნიშნული სფეროების განვითარებისათვის აუცილებელია სტაბილური სადაზღვევო სისტემის ფორმირება.

სტატიაში განხილულია და გაანალიზებულია ბოლო წლების სტატისტიკური მონაცემები და წარმოდგენილია შესაბამისი ინფორმაცია, რაც საშუალებას გვაძლევს გავიაზროთ სადაზღვევო ინდუსტრიის როლი აღნიშნული ბიზნეს სექტორების უსაფრთხო და სტაბილურ განვითარებაში.

ძირითადი ნაწილი

სოფლის მეურნეობა გლობალური ეკონომიკის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. ის მოიცავს მეცხოველეობას, მეფრინველეობას, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანას და მასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საქმიანობას. აგრარული ბიზნესი საკმაოდ დიდ როლს ასრულებს როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკის გაძლიერებაში. ის უზრუნველყოფს დასაქმების შესაძლებლობებს, მხარს უჭერს სოფლის განვითარებას და ხელს უწყობს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდას. მოცემული ბიზნესი მსოფლიოს მასშტაბით ქმნის მილიონობით სამუშაო ადგილს და ყოველწლიურად დიდი წვლილი შეაქვს მილიარდობით დოლარის შემოსავალს გენერირებაში.

სასოფლო სამეურნეო ინდუსტრია მხარს უჭერს მრავალ დამხმარე ბიზნესს მიმართულებას, როგორც არის ტრანსპორტირება, საკვების გადამამუშავებელი ბიზნესი და საცალო ვაჭრობა. ბოლო წლების მონაცემებით ევროპის მასშტაბით, სოფლის მეურნეობის კუთხით, მონიშნავს ადგილებს იკავებენ საფრანგეთი, თურქეთი და ესპანეთი. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში: ალბანეთი, აზერბაიჯანი და საქართველო, მოსახლეობის დაახლოებით 30% არის ჩართული სოფლის მეურნეობაში, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. რაც შეეხება ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის კონტინენტებს, შეგვიძლია გამოვყოთ ამერიკის შეერთებული შტატები, მექსიკა და ბრაზილია. ხოლო აზიაში ჩინეთი, ინდოეთი და ინდონეზია იკავებენ პირველ პოზიციებს. (Real Clear Markets, Raul Amoros, 2013).

აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ აგრარული ბიზნესი საკმაოდ მნიშვნელოვანია თითოეული ქვეყნის განვითარებისთვის და აუცილებელია არსებობდეს რისკების მართვის შესაბამისი ინსტრუმენტი დაზღვევის სახით, რომელიც ხელს შეუწყობს მოცემული ბიზნესის მდგრად და სტაბილურ ზრდას.

საქართველოში ყოველწლიურად იზრდება იმ კომპანიების და ინდივიდუალური მენარმეების რაოდენობა, რომლებიც ახდენენ თავიანთი ვენახების, ხეხილის, ბოსტნეულის და სხვადასხვა კულტურების დაზღვევას. საქმე იმაშია, რომ სახელმწიფო სადაზღვევო შენატანის 70%-ს აფინანსებს, ხოლო დარჩენილი 30%-ის გადახდა უწევთ სოფლის მეურნეობაში ჩართულ მენარმეებს. მოცემული სუბსიდირების პროგრამა ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის განვითარებას, რადგან აგრო ბიზნესის წარმომადგენლები თავს უფრო დაცულად გრძნობენ, მაშინ, როცა მათი საქმიანობა დაზღვეულია ისეთი რისკებისგან, როგორიც არის: სეტყვა, ქარიშხალი, წყალდიდობა, საშემოდგომო ყინვა და სხვა.

2023 წლის მონაცემებს რომ გადავავლოთ თვალი, ვნახავთ შემდეგ სურათს: საანგარიშო წლის დასაწყისიდან სადაზღვევო კომპანიების მიერ ჯამური მოზიდული სადაზღვევო პრემია (ბრუტო) შეადგენს 18,421,314 ლარს, ხოლო საანგარიშო პერიოდში ანაზღაურებული ზარალების ჯამური ოდენობა (ბრუტო) 7,072,708 ლარს უტოლდება. (დაზღვევის ზედამხედველობის სამსახური, 2023)

საქართველოს ეკონომიკაში სოფლის მეურნეობის წილი ბოლო წლების განმავლობაში მცირდება. ბოლოს ათი წლის მაჩვენებელი, რომ ავიღოთ სურათი შემდეგნაირად გამოიყურება (იხ. გრაფიკი 1).

ბოლო 10 წლის განმავლობაში, როგორც ვხედავთ, აგრო სექტორის წილი მშპ-ში 9.2%-იდან 7.0%-მდე შემცირდა. (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2023)

სოფლის მეურნეობის ბიზნესის ბრუნვამ გასულ წელს დაახლოებით 915 მილიონი ლარი შეადგინა, რაც მხოლოდ 0.7%-ია ბიზნეს სექტორის ბრუნვის. სოფლის მეურნეობაში ჩართულია სულ რაღაც 2700 კომპანია, საიდანაც მხოლოდ 7 არის მსხვილი, საშუალო 32, ხოლო დანარჩენი მიკრო და მცირე ბიზნესს უკავია. ეს ტენდენცია სექტორის გამსხვილების პოტენციალზე მიუთითებს. სექტორის ბრუნვის 50.7% მოდის მეცხოველეობის დარგზე, 16.7% მრავალწლოვან კულტურებზე, 12.5% ერთწლოვან კულტურებზე, 7.3% სხვა კულტურაზე, ხოლო დანარჩენი 12.8% დამხმარე მომსახურებებზე. (ბიზნეს ინსაიდერ ჯორჯია, 2023)

გრაფიკი N1. სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში წლების მიხედვით



დღესდღეობით, აგრო ბიზნესი, უმრავლესობა სახელმწიფოს ეკონომიკის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი დარგია, შესაბამისად ისინი დიდ ყურადღებას აქცევენ მოცემული ბიზნესის სწორ და სწრაფ განვითარებას. დაზღვევის ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენს აგრო დაზღვევა, რომელიც ძირითადად დაკავშირებულია მოსავლის დაზღვევასთან. აგრო ბიზნესის წარმომადგენლებს, ფერმერებს უხდებათ დიდი ფინანსური და შრომითი რესურსის განხილვა, რათა მიიღონ მოსავალი. უმეტესობა მათგანს აქვთ საბანკო კრედიტები, უწევთ მიწის გადასახადის გადახდა, სამუშაო ძალის დაქირავება და უხდებათ მრავალი სხვა ხარჯის განხილვა.

როდესაც აგრო მენარმეები აზღვევენ თავიანთ მოსავალს, ამით ისინი უფრო სანდოები ხდებიან კომერციული ბანკებისთვის და შედარებით მარტივად იღებენ საჭირო ფინანსურ რესურსებს, რადგან მათ უკან დგას სადაზღვევო კომპანია, რომელიც პასუხისმგებელია დაეხმაროს ბიზნესს სადაზღვევო რისკის დადგომის შემთხვევაში. მიკრო და მცირე ფერმერებს საშუალება აქვთ მოითხოვონ კრედიტი ისეთი ფინანსური შუამავლებისგან, როგორიც არის კომერციული ბანკები, გამოიყენონ აღნიშნული თანხა და შეეცადონ განავითარონ თავიანთი ბიზნესი.


მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, თუ რამდენად ეფექტური და გამოყენებადია სადაზღვევო მომსახურება, რომელსაც სადაზღვევო კომპანიები სთავაზობენ ფერმერებს აგრო დაზღვევის ქვეშ და რამდენად მორგებულია ეს ხელშეკრულებები სოფლის მეურნეობაში ჩართული ბიზნესის მოთხოვნებზე. აუცილებელია იმის დადგენა, თუ რამდენად ეფექტურია აგრო დაზღვევის გამოყენება აგრო ბიზნესის წარმომადგენლებისთვის.

ფერმერები, ბიზნეს ციკლის განმავლობაში, აწყდებიან მრავალ რისკებს, რომელიც მათ ბიზნესს საქმიანობას აფერხებს და ხელს უშლის ოპერაციების უწყვეტად და სწრაფად განხორციელებაში, შეგვიძლია დავასახელოთ რამდენიმე მათგანი: ამინდის გაუარესების შედეგად დამდგარი რისკები, მწერების შემოსევები, სხვადასხვა დაავადებები და ასე შემდეგ. სადაზღვევო ხელშეკრულება ფარავს და ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებს როგორიც არის გვალვა, წყალდიდობა, ქარიშხალი, სეტყვა და სხვა. თუმცა მწერების მიერ მიყენებული ზიანი, როგორც წესი, განიხილება არა დაზღვევად შემთხვევად, რადგან მსგავსი რისკის მოხდენის ალბათობის დადგენა თითქმის შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, ფერმერების წინაშე არსებული რისკების მხოლოდ ნაწილია დაზღვევადი და საშიშროების დიდი ნაწილი, როგორიცაა მაღალი ტემპერატურა და ტენიანობა, მწერების და მავნებლების შემოსევა, არ არის სადაზღვევო რისკების ნაწილი და არ არის დაზღვევადი. ამ მიმართულებით თუ ვიმსჯელებთ, დაზღვევა მხოლოდ ნაწილობრივ ფარავს მენარმეების წინაშე არსებულ რისკებს, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სადაზღვევო დაფარვები, რომელიც მნიშვნელოვანია აგრო ბიზნესისთვის, პერიოდულად ფართოვდება. (Hazell, 2018).

სამშენებლო სექტორი. სამშენებლო ბიზნესი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ინფრასტრუქტურის, ეკონომიკისა და საზოგადოების ცხოვრების ხარისხის ამაღლების კუთხით. სამშენებლო ინდუსტრია დასაქმების არსებითი წყაროა, რომელიც სამუშაოს სთავაზობს, როგორც კვალიფიციურ, ისე არაკვალიფიციურ მუშაკთა უმრავლესობას. ეს ყველაფერი ხელს უწყობს უმუშევრობის შემცირებას და სამომხმარებლო ხარჯების ზრდას. სამშენებლო სექტორს ქვეყნის ეკონომიკის გაძლიერებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს. ინფრასტრუქტურული, საცხოვრებელი და კომერციული პროექტები დადებითად მოქმედებს მთლიან შიდა პროდუქტზე. სამშენებლო ბიზნესი არის ეკონომიკური კეთილდღეობის და ცხოვრების დონის ამაღლების ერთ-ერთი მთავარი საყრდენი. ის დიდ გავლენას ახდენს როგორც სამუშაო ბაზრებზე, ისე ეკონომიკურ სიცოცხლისუნარიანობასა და საზოგადოების საერთო კეთილდღეობაზე. ბოლო წლების სტატისტიკიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ გერმანია, საფრანგეთი და იტალია, არიან გამორჩეული ქვეყნები სამშენებლო ინდუსტრიის წლიური საწარმოო ღირებულების მაჩვენებლით. ხოლო მსოფლიოს მასშტაბით ისეთი სახელმწიფოებს, როგორიც არის ჩინეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, ინდოეთი უკავიათ მონიწივე ადგილები სამშენებლო ბიზნესის გლობალური ზრდის კუთხით. (Oxford Economics, Morgan Condan, 2022)

ისევე როგორც მთლიანად მსოფლიოში, საქართველოშიც სამშენებლო ინდუსტრიას საკამოდ მნიშვნელოვანი როლი აქვს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების და ცხოვრების დონის ამაღლების კუთხით. ბოლო წლების მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, სამშენებლო ბიზნესი საკამოდ დიდ ზეგავლენას ახდენს ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდაზე. (ფორბსი, 2023)

გრაფიკი N2. სამშენებლო ბიზნესის წილი მთლიან შიდა პროდუქტში წლების მიხედვით



საქართველოში სამშენებლო ბიზნესის ბრუნვამ 7.2 მილიარდი ლარი შეადგინა, რომლის წილი მთლიან შიდა პროდუქტში დაახლოებით 9.3%-ს აღწევს. მოცემული მაჩვენებელი ბოლო ხუთი წლის განმავლობაში 80%-ით არის გაზრდილი, ხოლო სამშენებლო სექტორში ჩართული კომპანიების რიცხვი 6900-ს აღემატება და მათი 40% მიკრო და მცირე ბიზნესის წარმომადგენლები არიან. იზრდება დასაქმებულთა რაოდენობაც და ბოლო მონაცემებით დაახლოებით 72000 ადამიანს უტოლდება. (გალთმთავარტს, 2023).

თანამედროვე ბიზნეს სამყაროში, დაზღვევა მნიშვნელოვანია სამშენებლო ბიზნესის უსაფრთხო განვითარებისთვისაც. დაზღვევა ეხმარება სამშენებლო კომპანიებს სხვადასხვა შემთხვევების გადალახვასა და ოპერაციების უწყვეტად განხორციელებაში. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რის გამოც დაზღვევა არის გადამწყვეტი მნიშვნელობის, არის ის, რომ უზრუნველყოფს სხვადასხვა რისკების დაფარვას, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას უშუალოდ პროექტის განხორციელების თუ პროექტირების პროცესში. მოცემული რისკები შეიძლება მოიცავდეს ქონების და პე-

რსონალის დაზიანებას, ან თუნდაც იურიდიულ ვალდებულებებს. სადაზღვევო ხელშეკრულებით სამშენებლო კომპანიებს შეუძლიათ დაიცვან თავი მნიშვნელოვანი ფინანსური ზარალისგან, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს მოცემული რისკების დადგომის შედეგად.

დაზღვევა ხელს უწყობს პროექტთან დაკავშირებული რისკების შედეგად დამდგარი ზიანის შემცირებას. სადაზღვევო კომპანიები ხშირად მოუწოდებენ სამშენებლო კომპანიებს, გამოავლინონ პოტენციური რისკები და მიიღონ ზომები მათ შესამცირებლად. ეს შეიძლება მოიცავდეს უსაფრთხოების ზომების განხორციელებას, სამშენებლო პრაქტიკის გაუმჯობესებას და მუშაკების სათანადო მომზადების უზრუნველყოფას.

დაზღვევა უზრუნველყოფს სამშენებლო პროექტების დროულად და შესაბამისი ბიუჯეტის ფარგლებში განხორციელებას: სადაზღვევო დაფარვით, სამშენებლო კომპანიებს შეუძლიათ თავიდან აიცილონ შეფერხებები და ვადაგადაცილებები, რომლებიც შეიძლება გამოწვეული იყოს გაუთვალისწინებელი გარემოებებით. მნიშვნელოვანია, რომ სამშენებლო კომპანიებმა სწორი და პროექტებზე მორგებული სადაზღვევო დაფარვა შეარჩიონ. სადაზღვევო მომსახურების კარგად გაანალიზებით ქონების მფლობელებს და კონტრაქტორებს შეუძლიათ დაიცვან თავი პოტენციური ზარალისა და ზედმეტი ვალდებულებებისგან.

თანამედროვე სამშენებლო ბაზარზე არსებობს რამდენიმე ყველაზე გავრცელებული სადაზღვეო სერვისი, ესენია: სამშენებლო რისკების დაზღვევა, სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა, თანამშრომლების დაზღვევა და სხვა. პირველი მათგანი ეხება უშუალოდ სამშენებლო პროცესში დამდგარ რისკებს და ფარავს ხანძრის, ქურდობის, ვანდალიზმისა და სტიქიური უბედურების შედეგად მიყენებულ ზიანს. იმ შემთხვევაში თუ უკვე აშენებული ნაგებობა დაზიანდება, დაინგრევა ან ექნება რაიმე სახის დეფექტი, მაშინ სადაზღვევო კომპანია ვალდებულია აანაზღაუროს დამდგარი ზარალი, რაც რიგ შემთხვევებში ძალიან დიდ ფინანსურ ზიანს არიდებს დაზღვეულ სამშენებლო კომპანიას. (Les Masterson, 2024)

სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა ფარავს პროექტის განხორციელების პროცესში მესამე პირის მიმართ მიყენებულ, როგორც ქონებრივ, ისე ჯანმრთელობის დაზიანებებს. მოცემული დაზღვევის ტიპი აუცილებელია განსაკუთრებით იმ სამშენებლო პროექტებისთვის, რომლებიც მოიცავს სამუშაოების განხორციელებას საზოგადოებრივ ადგილებში ან მასთან ახლოს. ის იცავს სამშენებლო კომპანიებს იმ საჩივრებისგან, რომელიც შეიძლება სასამართლოში შეტანილ იქნას იმ ადამიანებისგან, რომლებიც გადაადგილდებიან, ცხოვრობენ ან მუშაობენ პროექტის განხორციელების არეალთან ახლოს. სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევამ, ასევე შეიძლება დაფაროს სასამართლო გადასახადები და საჩივრების შედეგად წარმოშობილი ანგარიშსწორებები. (Alex Roebuck, 2022)

თანამშრომლების უბედური შემთხვევებისგან დაზღვევა გავრცელებულია ძალიან ბევრ განვითარებულ და განვითარებად ქვეყანაში, ის უმეტეს ნილად სავალდებულო დაზღვევის ტიპს მიეკუთვნება. ამ დროს მუშაკის სიცოცხლე და ჯანმრთელობა დაზღვეულია საქმიანობის განხორციელების პროცესში. ის უზრუნველყოფს სამედიცინო მკურნალობის ხარჯებს, აწესებს სამედიცინო შეღავათებს და გასცემს კომპენსაციებს იმ შემთხვევაში თუ თანამშრომელი გარდაიცვლება სამუშაოს შესრულების პროცესში. (Plannerbee, 2024)

თანამშრომლების უბედური შემთხვევისგან დაზღვევის სერვისი საკმაოდ მზარდ ბაზარს მოიცავს, რომელიც პროგნოზებიდან გამომდინარე, კიდევ უფრო გაფართოვდება ახლო მომავალში. ჩრდილოეთ ამერიკა, განსაკუთრებით შეერთებული შტატები, კვლავ ითამაშებს მნიშვნელოვან როლს: ამერიკის ბაზარზე არსებულმა ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება დიდი გავლენა იქონიოს პერსონალური უბედური შემთხვევის დაზღვევის განვითარების ტენდენციაზე. ვარაუდობენ, რომ ტექნოლოგიური ცვლილებები და ინოვაციები კიდევ უფრო გაზრდის მოცემული პროდუქტის პოპულარიზაციას და ხელს შეუწყობს არსებული ბაზრის გაფართოებას. (BimaKavach, 2022).

დასკვნა

დღესდღეობით სადაზღვევო ინდუსტრიას უხდება სხვადასხვა გამოწვევებთან გამკლავება, რაც ბუნებრივია ზემოქმედებს მის განვითარებაზე. ისეთი ფაქტორები, როგორიც არის ტექნოლოგიური სიახლეები, ინოვაციები, რეგულაციები, ცვლის სადაზღვევო კომპანიების მუშაობის სპეციფიკას და უბიძგებს მას მომხმარებელთა საჭიროებებზე მორგებისკენ.

აღსანიშნავია, რომ სადაზღვევო კომპანიებისა და აგრარული და სამშენებლო სექტორების ურთიერთობები ეფუძნება მტკიცე და მნიშვნელოვან როლს, რომელიც დაკავშირებულია რისკების შეფასებასთან და მენეჯმენტთან.

აგრარულ სექტორში სადაზღვევო კომპანიები მნიშვნელოვან უსაფრთხოებას უზრუნველყოფენ, განსაკუთრებით ბუნებრივი კატასტროფების და კლიმატური ცვლილებებისგან. სოფლის მეურნეობაში დაზღვევა ფერმერებისთვის და მენარმეებისთვის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია რისკების მართვისთვის.

სადაზღვევო სისტემა ხელს უწყობს სამშენებლო სექტორების უსაფრთხო და სტაბილურ განვითარებას. ის განვითარებულ ქვეყნებში ფუნქციონირებად მსგავსი ტიპის კომპანიებს სთავაზობს მრავალ სადაზღვევო დაფარვას, რომელიც აუცილებელია, აღნიშნული ინდუსტრიის გაძლიერებისა და მომხმარებელთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბიზნეს ინსაიდერ ჯორჯია, 2023
2. გალტ&თაგარტს, 2023
3. დაზღვევის ზედამხედველობის სამსახური, 2023
4. სადაზღვევო საქმე, თბილისი. ნატო კაკაშვილი. 2021
5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2023
6. ჟურნალი ფორბსი, 2023
7. Alex Roebuck, Professional Indemnity, 2022
8. BimaKavach, Technologies Private Limited, 2022
9. Hazell, P. B. (2018). The appropriate role of agricultural insurance in developing countries. Journal of International Development.
10. Les Masterson, Agricultural business risks, 2024
11. Oxford Economics, Morgan Condan, 2022
12. Plannerbee, Personal accident insurance, 2024
13. Real Clear Markets, Raul Amoros, 2013

REFERENCES:

1. Alex Roebuck, Professional Indemnity, 2022
2. BimaKavach, Technologies Private Limited, 2022
3. Business Insider Georgia, 2023
4. Forbes magazine, 2023
5. Galt&Taggart, 2023
6. Georgian Insurance Supervision Service, 2023
7. Hazell, P. B. (2018). The appropriate role of agricultural insurance in developing countries. Journal of International Development.
8. Insurance Business, Tbilisi. Nato Kakashvili, 2021
9. Les Masterson, Agricultural business risks, 2024
10. National Statistical Service of Georgia, 2023
11. Oxford Economics, Morgan Condan, 2022
12. Plannerbee, Personal accident insurance, 2024
13. Real Clear Markets, Raul Amoros, 2013

KEY ASPECTS OF AGRICULTURAL AND CONSTRUCTION BUSINESSES' RELATIONSHIPS WITH INSURANCE COMPANIES

Temur Toidze

PhD student at Georgian Technical University,
E-mail: Temo.toidze@yahoo.com

Natalia Tchanturia

Georgian Technical University, Associate Professor
E-mail: Tchanturianatalia11@gtu.ge

RESUME

The article discusses the importance of insurance services in the agricultural and construction sectors, and highlights the challenges faced by representatives of these businesses.

The work analyzes potential opportunities and recommendations that will contribute to both the effective development of the insurance sector and the sustainable growth of already mentioned businesses.

One of the main goal of the article is to study the relationships between agricultural and construction businesses and insurance companies in order to better understand how insurance services can be applied to manage risks and ensure stability in these field of business.

The article analyzes various statistical materials, as well as presents the works, publications, and views of various scientists on the importance of insurance for the stable development of agricultural and construction businesses.

Keywords: Insurance; Agricultural Industry; Construction Business; Business Development; Risk Management.